

## პრესრელიზი

**ზურაბ გელენიძემ „აბრეშუმის გზის ფორუმზე“ ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობებზე ისაუბრა**

აბრეშუმის გზის ფორუმზე, საინვესტიციო პანელზე სპიკერის რანგში, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის „გენერალურმა დირექტორმა ზურაბ გელენიძემ ქვეყნის ეკონომიკურ და საინვესტიციო პოტენციალზე, ასევე სამომავლო სტრატეგიული პროექტების განხორციელების მნიშვნელობაზე ისაუბრა. მათ შორის გარდაბანში ჩინელ პარტნიორებთან დაგეგმილ პროექტზეც გაამახვილა ყურადღება, რომელიც რამდენიმე მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტიციას ითვალისწინებს. „საუბარია ფართომასშტაბიან პროექტზე, ეს არის

300მეგავატის სიმძლავრის ქვანახშირზე მომუშავე სადგური გარდაბანში, რომელიც თანამედროვე ეკოლოგიური სტანდარტების დაცვით აშენდება, - განაცხადა ზურაბ



## პრესრელიზი

გელენიძემ. მისივე განცხადებით „ჯი-აი-ჯი“ ჯგუფი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად აქტიურად თანამშრომლობს იტალიურ კომპანიასთან „სიემსისთან“, რომელსაც ინფრასტრუქტურის სფეროში 100 წელზე მეტი გამოცდილება აქვს პარტნიორებს შორის არიან მსხვილი ამერიკული კომპანია "გლობალ ბენეფიტ ჯორჯია", ჯგუფი, რომელიც ლონდონის საფონდო ბირჟაზე კოტირებს.

„ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველო უცხოელი ინვესტორებისთვის საინტერესო მიმართულება გახდა. ეკონომიკაში აღმოფხვრილია კორუფცია. ევროკავშირის ქვეყნებთან და ჩინეთთან დადებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება დიდ საშუალებას აძლევს ბიზნესპარტნიორებს, რომ ბიზნესი გაფართოვდეს“, - განაცხადა ზურაბ გელენიძემ. სესიის შემდეგ პანელის მონაწილეები „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“, ფარგლებში, გამართულ ხელმოწერის ცერემონიალს დაესწრნენ .

29 ნოემბერს „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფთან“ დაკავშირებულ კომპანია CPower-ს და ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ჩინურ კორპორაცია Dongfang Electric Corporation შორის გარდაბნის მუნიციპალიტეტში 300 მგვტ. ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის პროექტირების შესყიდვის და მშენებლობის (EPC) ხელშეკრულება გაფორმდა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში 300 მგვტ. ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის პროექტირების შესყიდვის და მშენებლობის (EPC) ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულებას ჩინური მხრიდან კორპორაცია



## პრესრელიზი

Dongfang Electric Corporation ვიცე პრეზიდენტი ლან ზეჰაიმ, ხოლო ქართული მხრიდან პროექტის განმახორციელებელი კომპანია „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ შვილობილი შპს Cpower-ის დირექტორმა გივი ჭაჭიამ მოაწერეს.

კონტრაქტის ჯამური მოცულობა 200 მლნ. აშშ დოლარია, ხოლო დაგეგმილი ინვესტიცია 250 მლნ. აშშ დოლარს უდრის. ჩატარებულია წინა სამშენებლო სამოსამზადებელი სამუშაოები. ძირითადი მშენებლობის დაწყება 2018 წელს იგეგმება, ხოლო ექსპლუატაციაში შესვლის ვადა 2020 წლის ბოლო კვარტალია. თბოელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 300 მგვტ. იქნება. ოპერირების პერიოდში თბოელექტროსადგური სრულად მოიხმარს საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ ნახშირს.

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.





## პრესრელიზი

---

**"Georgian Industrial Group" Ltd**  
Gazapkhuli str. 18, 0177, Tbilisi  
Tel.: +995 32 221 01 87  
Fax: +995 32 221 01 89  
[www.gig.ge](http://www.gig.ge)

გთხოვთ მოგვმართოთ:  
E-mail: [m\\_manjgaladze@gig.ge](mailto:m_manjgaladze@gig.ge)  
Mob: 995 577 77 03 06  
E-mail: [n\\_bandzeladze@gig.ge](mailto:n_bandzeladze@gig.ge)  
Mob: 995 577 77 03 01

შემოგვიერთდით:   
Georgian Industrial Group Holding

